

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
სათაო ოფისის ნაშთში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძვლები	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები	12
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	13
5. ამონაგები და თვითღირებულება	16
6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	18
7. ძირითადი საშუალებები	19
8. მარაგები	19
9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
10. ფული და ფულის ეკვივალენტები	20
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
12. სესხები	20
13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
14. პირობითი ვალდებულებები	21
15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21
16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	21

მმართველობის ანგარიშგება	27
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალის მფლობელებს და ხელმძღვანელობას უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიკირავეს ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალის (შემდეგში ფილიალი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, სათაო ოფისის ნაშთში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ფილიალის ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში, ფილიალის ძირითად მომხმარებელს წარმოადგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომლის 100% წილის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. ხელმძღვანელობის შეფასებით ფილიალი შეძლებს მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. მიმდინარე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ ფილიალის საქმიანობის გაგრძელება დამოკიდებულია სახელმწიფო შესყიდვების (ტენდერის) საშუალებით ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე. სახელმწიფო შესყიდვების შედეგების წინასწარ საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი. მოცემული გარემოება მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე ფილიალის უნართან დაკავშირებით გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობა დამოკიდებულია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შედეგების საიმედოდ შეფასებაზე. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ ვერ შევძელით დაგეგმილი აუდიტორული პროცედურების ჩატარება, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის გამოსატანად. თუ ფილიალს არ შესწევს უნარი განაგრძოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში, ფილიალმა შესაძლებელია ვერ დაფაროს ვალდებულებები ნორმალური ბიზნეს საქმიანობით და საჭირო გახდეს აქტივების რეალიზაცია, რაც შეიძლება წარმოადგენდეს აქტივების საბალანსო ღირებულების კორექტირების საფუძველს. დამატებით, ფილიალს შესაძლებელია გრძელვადიანი აქტივები და ვალდებულებები წარედგინა, როგორც მოკლევადიანი. ამგვარ კორექტირებებს ადგილი არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ფილიალს არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია შესაბამისად 4,697,115 და 5,494,905 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში წარდგენილ გადახდილ ავანსებზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურებინა აღნიშნული ნაშთი, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 1,229,354 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან ფული და ფულის ეკვივალენტებზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურებინა აღნიშნული ნაშთი, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 1,043,302 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ფული და ფულის ეკვივალენტებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება სათაო ოფისიდან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურებინა სათაო ოფისის შენატანები, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 4,979,826 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები სათაო ოფისის შენატანებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში წარდგენილ ფინანსურ ვალდებულებებზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში წარდგენილ სავაჭრო ვალდებულებების მოკლევადიან ნაწილზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურებინა აღნიშნული ნაშთები, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია შესაბამისად 5,363,451 და 2,944,929 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც მე-16 შენიშვნაშია განმარტებული, აღიარებული ამონაგები განისაზღვრება იმ პროპორციის შესაბამისად, რა პროპორციის ხარჯებიც გაიწია ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად კონტრაქტის სავარაუდო ჯამურ ხარჯებთან მიმართებით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისთვის შეფასებული ხარჯების ბიუჯეტი. შედეგად, ვერ შევძელით დაგვეგმილი აუდიტორული პროცედურების ჩატარება. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ამონაგები, რაც მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარდგენილია (824,382) ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ამონაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ თვითღირებულებაში წარდგენილი მარაგების ხარჯის შესაბამისი დოკუმენტები 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურებინა თვითღირებულებაში წარდგენილი მარაგების ხარჯი, რაც მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარდგენილია 3,537,925 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები თვითღირებულებასთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ფილიალის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფილიალის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოყვანილია მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე. მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში, ჩვენი მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს ფილიალის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფილიალის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ფილიალის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ფილიალის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფილიალის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ფილიალის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ფილიალის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ფილიალისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

4 აპრილი 2022

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალის მფლობელებს და ხელმძღვანელობას უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დავიკვირავს ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალის (შემდეგში ფილიალი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩასატარებლად, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, სათაო ოფისის ნაშთში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას ფილიალის ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

როგორც ეს აღწერილია ფინანსური ანგარიშგების მე-2 განმარტებით შენიშვნაში, ფილიალის ძირითად მომხმარებელს წარმოადგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომლის 100% წილის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. ხელმძღვანელობის შეფასებით ფილიალი შეძლებს მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. მიმდინარე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ ფილიალის საქმიანობის გაგრძელება დამოკიდებულია სახელმწიფო შესყიდვების (ტენდერის) საშუალებით ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე. სახელმწიფო შესყიდვების შედეგების წინასწარ საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი. მოცემული გარემოება მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე ფილიალის უნართან დაკავშირებით გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობა დამოკიდებულია სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შედეგების საიმედოდ შეფასებაზე. ჩვენთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ჩვენ ვერ შევძელით დაგეგმილი აუდიტორული პროცედურების ჩატარება, რაც აუცილებელი იყო ხელმძღვანელობის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს სააღრიცხვო საფუძვლის გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ დასკვნის გამოსატანად. თუ ფილიალს არ შესწევს უნარი განაგრძოს ფუნქციონირება პროგნოზირებად მომავალში, ფილიალმა შესაძლებელია ვერ დაფაროს ვალდებულებები ნორმალური ბიზნეს საქმიანობით და საჭირო გახდეს აქტივების რეალიზაცია, რაც შეიძლება წარმოადგენდეს აქტივების საბალანსო ღირებულების კორექტირების საფუძველს. დამატებით, ფილიალს შესაძლებელია გრძელვადიანი აქტივები და ვალდებულებები წარედგინა, როგორც მოკლევადიანი. ამგვარ კორექტირებებს ადგილი არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ფილიალს არ ჩაუტარებია მარაგების ინვენტარიზაცია. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით მიგველო აუცილებელი და შესაფერისი მტკიცებულება მარაგების რაოდენობაზე, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია შესაბამისად 4,697,115 და 5,494,905 ლარით. შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები მარაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში წარდგენილ გადახდილ ავანსებზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურობინა აღნიშნული ნაშთი, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 1,229,354 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან ფული და ფულის ეკვივალენტებზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურობინა აღნიშნული ნაშთი, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 1,043,302 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ფული და ფულის ეკვივალენტებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება სათაო ოფისიდან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურობინა სათაო ოფისის შენატანები, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია 4,979,826 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები სათაო ოფისის შენატანებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მივიღეთ დადასტურება მესამე მხარისგან სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში წარდგენილ ფინანსურ ვალდებულებებზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში წარდგენილ სავაჭრო ვალდებულებების მოკლევადიან ნაწილზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურობინა აღნიშნული ნაშთები, რაც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილია შესაბამისად 5,363,451 და 2,944,929 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

როგორც მე-16 შენიშვნაშია განმარტებული, აღიარებული ამონაგები განისაზღვრება იმ პროპორციის შესაბამისად, რა პროპორციის ხარჯებიც გაიწია ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად კონტრაქტის სავარაუდო ჯამურ ხარჯებთან მიმართებით. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისთვის შეფასებული ხარჯების ბიუჯეტი. შედეგად, ვერ შევძელით დაგვემიღა აუდიტორული პროცედურების ჩატარება. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურობინა ამონაგები, რაც მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარდგენილია (824,382) ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები ამონაგებთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ თვითღირებულებაში წარდგენილი მარაგების ხარჯის შესაბამისი დოკუმენტები 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. სხვა ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ შევძელით დაგვედასტურობინა თვითღირებულებაში წარდგენილი მარაგების ხარჯი, რაც მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარდგენილია 3,537,925 ლარით. შედეგად, ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა კორექტირებები თვითღირებულებასთან და ფინანსური ანგარიშგების შემადგენელ სხვა ელემენტებთან დაკავშირებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ფილიალის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფილიალის მმართველობის ანგარიშგებას. იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოყვანილია მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში, ჩვენ ვერ შევძელით მოსაზრების გამოთქმა ფინანსურ ანგარიშგებაზე. მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებით, ჩვენი სამუშაო შემოიფარგლებოდა იმით, რომ განგვესაზღვრა შეიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, მხოლოდ ამ პროცედურებზე დაყრდნობით:

- 2020 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში, ჩვენი მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძვლის ნაწილში აღწერილი საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა, აზრი გამოვთქვათ მმართველობის ანგარიშგებაში არსებობს თუ არა არსებითი უზუსტობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს ფილიალის საქმიანობის უწყვეტობის უნარი, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფილიალის საქმიანობის უწყვეტობასთან და ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებაზე, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ფილიალის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებელნი არიან ფილიალის ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფილიალის მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ფილიალის მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ ფილიალის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხების გამო, ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ჩვენ დამოუკიდებლობი ვართ ფილიალისგან იმ ეთიკის ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:



ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

4 აპრილი 2022

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	5	(824,382)	23,971,804
თვითღირებულება	5	(11,361,915)	(21,901,184)
საერთო მოგება/(ზარალი)		(12,186,297)	2,070,620
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(667,345)	(901,149)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(12,853,642)	1,169,471
წმინდა საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)		(48,440)	26,568
წმინდა მოგება/(ზარალი) საკუროს სხვაობიდან		1,849,543	(361,089)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(11,052,539)	834,950
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(11,052,539)	834,950

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 4 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი	_____	შახლა ახმადოვა
მთავარი ბუღალტერი	_____	კობა ფარცვანია


ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი
მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	5	(824,382)	23,971,804
თვითღირებულება	5	(11,361,915)	(21,901,184)
საერთო მოგება/(ზარალი)		(12,186,297)	2,070,620
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(667,345)	(901,149)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(12,853,642)	1,169,471
წმინდა საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)		(48,440)	26,568
წმინდა მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან		1,849,543	(361,089)
წმინდა მოგება/(ზარალი)		(11,052,539)	834,950
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სრული შემოსავალი/(ზარალი)		(11,052,539)	834,950

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 4 აპრილს შემდეგი პირების მიერ:

ფინანსური დირექტორი

_____  _____

შახლა ახმადოვა

მთავარი ბუღალტერი

_____  _____

კობა ფარცვანია

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	1,559,322	2,024,350
არამატერიალური აქტივები		24,479	48,956
სავაჭრო მოთხოვნები	9	4,086,628	13,620,815
		5,670,429	15,694,121
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	8	4,697,115	5,494,905
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	1,223,362	3,391,311
ფული და ფულის ეკვივალენტები	10	1,043,302	1,974,359
		6,963,779	10,860,575
სულ აქტივები		12,634,208	26,554,696
სათაო ოფისის ნაშთი და ვალდებულებები			
ნაშთი სათაო ოფისის მიმართ			
სათაო ოფისის შენატანები		4,979,826	3,281,080
დაგროვილი მოგება/(ზარალი)		(283,126)	10,547,848
		4,696,700	13,828,928
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	11	2,890,019	2,681,200
		2,890,019	2,681,200
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	2,621,335	3,385,848
სახელშეკრულებო ვალდებულება	5	2,426,154	6,039,376
სესხები	12	-	619,344
		5,047,489	10,044,568
სულ ვალდებულებები		7,937,508	12,725,768
სათაო ოფისის ნაშთი და ვალდებულებები		12,634,208	26,554,696

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი

სათაო ოფისის ნაშთში ცვლილებების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	არაფულადი ოპერაციების რეზერვი	სხვა ოპერაციების რეზერვი	სათაო ოფისის შენატანები	დაგროვილი მოგება/(ზარ ალი)	სულ
31 დეკემბერი 2018	4,978,562	(842,391)	4,136,171	9,001,766	13,137,937
ძირითადი საშუალებების გატანა საბალანსო ღირებულებით	(3,105,059)	-	(3,105,059)	-	(3,105,059)
დაგროვილი ცვეთა გატანილ ძირითადი საშუალებებზე	(1,110,190)	-	(1,110,190)	1,110,190	-
ფული და ფულის ეკვივალენტების მოძრაობა	-	2,614,406	2,614,406	-	2,614,406
სათაო ოფისის ანაზღაურება მესამე მხარის მიმართ	-	346,694	346,694	-	346,694
საკუროს სხვაობის გავლენა	-	399,058	399,058	(399,058)	-
სრული შემოსავალი	-	-	-	834,950	834,950
31 დეკემბერი 2019	763,313	2,517,767	3,281,080	10,547,848	13,828,928
ძირითადი საშუალებების გატანა საბალანსო ღირებულებით	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა გატანილ ძირითადი საშუალებებზე	(315,206)	-	(315,206)	315,206	-
ძირითადი საშუალებების შემოტანა	128,200	-	128,200	-	128,200
ფული და ფულის ეკვივალენტების მოძრაობა	-	1,444,508	1,444,508	-	1,444,508
სათაო ოფისის ანაზღაურება მესამე მხარის მიმართ	-	347,603	347,603	-	347,603
საკუროს სხვაობის გავლენა	-	93,641	93,641	(93,641)	-
სრული ზარალი	-	-	-	(11,052,539)	(11,052,539)
31 დეკემბერი 2020	576,307	4,403,519	4,979,826	(283,126)	4,696,700

ას ინშაუტ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მომხმარებლებისგან მიღებული ფული		10,172,830	18,616,948
მომწოდებლებზე გადახდილი ფული		(8,700,862)	(16,319,614)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული		(1,962,646)	(3,463,279)
გადახდილი გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა		(1,275,809)	(3,351,929)
		(1,766,487)	(4,517,874)
გადახდილი პროცენტები	12	(65,190)	(33,600)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(1,831,677)	(4,551,474)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	(116,745)
მიღებული პროცენტები		16,750	60,168
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		16,750	(56,577)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული სესხები	12	1,085,370	1,340,393
სესხების დაფარვა	12	(1,765,601)	(699,769)
დამფუძნებლების შენატანები		1,444,508	2,614,406
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		764,277	3,255,030
ფულადი სახსრების წმინდა შემცირება		(1,050,650)	(1,353,021)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	10	1,974,359	3,151,990
საკუროს სხვაობის ცვლილების გავლენა		119,593	175,390
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	10	1,043,302	1,974,359

1. ზოგადი ინფორმაცია

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი (შემდგომში ფილიალი) დაარსდა 2015 წლის 10 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ფილიალის იურიდიული მისამართია ზემო ვეძისი #2/3, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო. ფილიალი წარმოადგენს აზერბაიჯანში რეგისტრირებული ფილიალის ას ინშაათ-ნ-ის ფილიალს. ფილიალის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო სერვისის გაწევა. ფილიალი ახორციელებს წყალმომარაგების სისტემების შეცვლას საქართველოს რეგიონებში. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფილიალის სათაო ოფისის მფლობელები არიან ნუშრევან ჯალილოვი (წილის 50%) და „PAY ჯგუფი“ (წილის 50%).

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ფილიალი იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში ფილიალი იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფილიალის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ფილიალი განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ფილიალის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ, განაგრძონ ფილიალი საქართველოში. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენებისთვის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ფილიალის საქმიანობა, მიზნები და სტრატეგია, ძირითადი რისკები და გაურკვევლობა მისი მიზნების მისაღწევად. ხელმძღვანელობამ მოამზადა ფილიალის ფინანსური პროგნოზი ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების დღიდან 12 თვის განმავლობაში, რომელშიც გაითვალისწინა მოვლენათა უარყოფითი განვითარების შესაძლო სცენარები, რომელიც გულისხმობდა უარყოფითი გავლენის ისეთი დონის გამოკვლევას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ფილიალის ფუნქციონირების შეწყვეტა. შეფასებისას გაითვალისწინეს COVID-19 პანდემიის გავლენის ანალიზი ფილიალის საქმიანობაზე, ლიკვიდურობასა, და დაფინანსებაზე. ამის საფუძველზე, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფილიალის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან 12 თვის განმავლობაში, დაკავშირებულია არსებით განუსაზღვრელობასთან.

გარემოებები რომლებიც მიუთითებს საწარმოს ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ არსებით განუსაზღვრელობაზე

ფილიალის ძირითად მომხმარებელს წარმოადგენს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომლის 100% წილის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. ხელმძღვანელობის შეფასებით ფილიალი შეძლებს მიმდინარე სახელშეკრულებო ვალდებულებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულებას მომდევნო ერთი წლის განმავლობაში. მიმდინარე ხელშეკრულებებით გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ ფილიალის საქმიანობის გაგრძელება დამოკიდებულია სახელმწიფო შესყიდვების (ტენდერის) საშუალებით ახალი ხელშეკრულების გაფორმებაზე. სახელმწიფო შესყიდვების შედეგების წინასწარ საიმედოდ შეფასება არ არის შესაძლებელი. მოცემული გარემოება მიუთითებს არსებით განუსაზღვრელობაზე ფილიალის უნართან დაკავშირებით გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ხელმძღვანელობა გეგმავს სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობას კონკურენტული პირობებით.

ახალი ფასს-ების მიღება

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

2020 წლის პირველი იანვრიდან ძალაში რამდენიმე ახალი ინტერპრეტაცია და შესწორებები, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითი განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძველები

ბ) ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

ფილიალის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, IASB-ის (ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში და რომლებზეც ფილიალმა გადაწყვიტა არ მიეღო ნაადრევად. 2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შედის შემდგომი შესწორებები:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის ცვლილებები);
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე (ბასს 16-ის ცვლილებები);
- ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება 2018-2020 (ცვლილებები ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41 სტანდარტებში); და
- კონცეპტუალური მიდგომა (ფასს 3-ის ცვლილებები).

2020 წლის იანვარში, IASB-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა ფილიალს უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ. შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1 იანვრამდე.

ამჟამად, ფილიალი აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებებზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა ფილიალის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

ფილიალი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს ფილიალის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

3.1 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფილიალი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიუღებლობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება

ფილიალი გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს და ნარჩენ ღირებულებას ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის და ნარჩენი

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები (გაგრძელება)

ღირებულების განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის კორექტირება.

3.3 ამონაგები სამშენებლო ხელშეკრულებიდან

ფილიალის ძირითადი ამონაგები ფორმირდება ცვალებადღირებულებიანი ხელშეკრულებებით. სახელშეკრულებო ღირებულების ცვლილება დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობაზე და სამუშაოების შესრულების ვადებზე. აღიარებული ამონაგები განისაზღვრება იმ პროპორციის შესაბამისად, რა პროპორციის ხარჯებიც გაიწია ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად კონტრაქტის სავარაუდო ჯამურ ხარჯებთან მიმართებით. ამონაგების შეფასება დაკავშირებულია მნიშვნელოვან განუსაზღვრელობასთან რაც უკავშირდება მომავალ მოვლენებს. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხდება სახელშეკრულებო ამონაგებისა და სახელშეკრულებო დანახარჯების შეფასებები. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

ფილიალის ოპერაციებისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია:

- საკრედიტო რისკი
- საპროცენტო რისკი
- უცხოური ვალუტის რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა საკმეიანობებთან ერთად ფილიალი დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს ფილიალის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. წინა პერიოდის შემდეგ არ მომხდარა არსებითი ცვლილება რისკების მართვისა და შეფასების მეთოდებში.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები

ფილიალის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების მთავარი მიზანია ფილიალის ფინანსური უზრუნველყოფა. ფილიალს გააჩნია ისეთი ფინანსური აქტივები როგორიცაა სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები. ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური ინსტრუმენტების ძირითად კატეგორიებს.

	2020	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	4,080,636	15,232,254
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,043,302	1,974,359
სულ ფინანსური აქტივები	5,123,938	17,206,613
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,363,451	6,067,048
სესხები	-	619,344
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,363,451	6,686,392

ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულებისთვის მოითხოვება რეალური ღირებულების განმარტება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულების შეფასებისათვის ფილიალი იყენებს ხელმისაწვდომ საბაზრო მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასებას ფილიალი ახდენს შემდეგი ინფორმაციის საფუძველზე:

- დონე 1: აქტიურ ბაზარზე იდენტური ერთეულის კოტირებული ფასების გამოყენებით (არაკორექტირებული);
- დონე 2: თუ ასეთი ფასი არ არსებობს, სხვა პირდაპირი ან არაპირდაპირი ემპირიული მონაცემების მიხედვით, როგორიცაა ისეთი ბაზრის კოტირებული ფასი, რომელიც არ არის აქტიური იმ იდენტური ერთეულისათვის, რომელსაც სხვა მხარე ფლობს, როგორც აქტივს;

4. ფინანსური ინსტრუმენტები –რისკების მართვა (გაგრძელება)

- დონე 3: არასაბაზრო მონაცემების საფუძველზე. თუ პირველ და მეორე დონეებში აღწერილი ემპირიული ფასები არ არსებობს, მაშინ ხდება შეფასების სხვა მეთოდების გამოყენება.

რეალური ღირებულების კლასიფიკაცია დონეებად დამოკიდებულია გამოყენებული ინფორმაციის დონეზე და რეალური ღირებულების გაანგარიშებაში მის მნიშვნელობაზე. დონეებს შორის გადატანა აისახება იმ პერიოდში, როდესაც ადგილი აქვს ასეთ მოვლენას.

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. ფილიალი ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალურ ღირებულებას განსაზღვრავს ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციის საფუძველზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და სათანადო შეფასებების მეთოდების გამოყენებით. რეალური ღირებულების დასადგენად, საბაზრო მონაცემების ინტერპრეტაციისთვის განსჯის გამოყენებაა საჭირო. საქართველო კვლავაც ავლენს განვითარებადი ბაზრისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ეკონომიკური პირობები ისევ ზღუდავს ფინანსურ ბაზრებზე საქმიანობის მოცულობას. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, იძულებითი რეალიზაციის გარიგებებს ასახავდეს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ფილიალი ყველა არსებულ საბაზრო ინფორმაციას იყენებს ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების და ვალდებულებების რეალური ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთსა და მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება გამომდინარეობს ფულადი სახსრების ნაკადის ღირებულებიდან, რომელიც დისკონტირებულია ფულის ბაზრის მიმდინარე იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ფილიალის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება (მე-3 დონე), რომელიც არის ლიკვიდური და ხასიათდება მოკლევადიანობით, როგორც არის სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი, უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. ფულისა და ფულის ეკვივალენტების რეალური ღირებულება შეფასებულია პირველი დონის მიხედვით

მიღებული სესხების მეორე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას და შეესაბამება საბალანსო ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სესხებისთვის მერყეობს 8%-დან 10%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს.

სავაჭრო მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილის მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სავაჭრო მოთხოვნებისთვის მერყეობს 7%-დან 8%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. სავაჭრო მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილის რეალური ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 3,569,000 ლარს (2019: 11,678,000 ლარი).

სავაჭრო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილის მესამე დონის მიხედვით შეფასებული რეალური ღირებულება ეფუძნება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას. დისკონტირების განაკვეთი სავაჭრო ვალდებულებებისთვის მერყეობს 7%-დან 8%-მდე, რომელიც ემთხვევა საბაზრო განაკვეთს. სავაჭრო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილის რეალური ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,524,000 ლარს (2019: 2,299,000 ლარი).

სათაო ოფისის ნაშთის მართვა

ფილიალი სათაო ოფისის ნაშთთან დაკავშირებულ რისკს მართავს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენა და ამავდროულად სათაო ოფისის უკუგების მაქსიმუმაცია, მოზიდული და სათაო ოფისის ნაშთის ოპტიმალური ბალანსის დაცვის გზით. ფილიალის ხელმძღვანელობა რეგულარულად მიმოიხილავს სათაო ოფისის ნაშთის სტრუქტურას. ასეთი განხილვების ფარგლებში, ფილიალის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ფილიალი აბალანსებს სათაო ოფისის ნაშთს დივიდენდების გაცემით, სათაო ოფისის შენატანებით და სესხის აღება/დაფარვით.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

ფილიალის ხელმძღვანელობას გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ფილიალის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ფილიალის ფინანსური მხარისთვის. ფილიალის ხელმძღვანელობა იღებს ყოველთვიურ ანგარიშგებას

4. ფინანსური ინსტრუმენტები –რისკების მართვა (გაგრძელება)

ფილიალის ფინანსური მხარისგან, მიმოიხილავს თავიანთი დასახული მიზნებისა და პოლიტიკის შესრულებისათვის განხორციელებული პროცესების ეფექტურობას. ფილიალის ხელმძღვანელობის მთავარი მიზანი არის დაიცვას ფილიალი რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს. აღნიშნულ პოლიტიკასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. ფილიალს გააჩნია აშშ დოლარში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. ფილიალი არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავალუტო რისკის ანალიზს.

	2020	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,121,855	15,386,115
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,042,848	1,968,092
სულ ფინანსური აქტივები	5,164,703	17,354,207
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,754,416	4,271,106
სესხები	-	619,344
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,754,416	4,890,450
წმინდა ფინანსური პოზიცია	1,410,287	12,463,757

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს ფილიალის მგრძნობელობას შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ფილიალის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას ფილიალის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ცხრილი გვიჩვენებს გავლენას წმინდა მოგებაზე.

	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი + 20%
მოგება/(ზარალი) 2020	282,057	(282,057)
მოგება/(ზარალი) 2019	2,492,751	(2,492,751)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ფილიალის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე ან მომავალ ფულად ნაკადებზე. ფილიალს არ აქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების არშესრულების შემთხვევაში. ფილიალის საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). ფილიალის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. ფილიალი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ცალკეული კონტრაგენტის კრედიტუნარიანობის საფუძვლიან ანალიზს, კონტრაგენტის დიდძალი დავალიანების თავიდან აცილებას, ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის მკაცრ კონტროლსა და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

	2020	2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები გაუფასურების გამოკლებით	4,080,636	15,232,254
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,043,302	1,974,359
სულ	5,123,938	17,206,613

4. ფინანსური ინსტრუმენტები –რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არ არსებობა, რათა მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ფილიალი ახორციელებს სისტემატურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ვალდებულებების კატეგორიების ლიკვიდურობის ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ როდის არის მოსალოდნელი დაფარვა. ამ ცხრილებში წარმოდგენილი თანხები შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღრიცხულ თანხებს, რადგან ქვემოთ წარმოდგენილი ინფორმაცია მოიცავს ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზს, რაც უთითებს ხელშეკრულების მიხედვით დარჩენილ მთლიან დაუდისკონტრირებელ გადახდებს საპროცენტო დავალიანების ჩათვლით.

	1 წელზე ნაკლები	1-დან 2 წლამდე	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,473,432	2,890,019	5,363,451
სულ ფინანსური ვალდებულებები 2020	2,473,432	2,890,019	5,363,451
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,385,848	2,681,200	6,067,048
სესხები	619,344	-	619,344
სულ ფინანსური ვალდებულებები 2019	4,005,192	2,681,200	6,686,392

5. ამონაგები და თვითღირებულება

ფილიალის ძირითადი ამონაგები ფორმირდება ცვალებადღირებულებიანი ხელშეკრულებებით. ფილიალს გაფორმებული აქვს სამშენებლო მომსახურების ხელშეკრულება შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია-სთან. ხელშეკრულება მოიცავს დასახლებულ პუნქტებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მშენებლობას. საანგარიშგებო პერიოდში ფილიალი ახორციელებს სამუშაოებს შემდეგ დასახლებულ პუნქტებში: ზუგდიდი, ჯვარი, აბაშა, ანაკლია.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ამონაგების მოცულობას პროექტების მიხედვით:

პროექტის დასახელება	2020	2019
ზუგდიდი*	(6,854,316)	14,701,473
ჯვარი	1,096,660	2,752,325
აბაშა	2,192,117	4,425,320
ანაკლია	2,610,674	1,909,284
სხვა	130,483	183,402
სულ	(824,382)	23,971,804

სახელშეკრულებო ღირებულების ცვლილება დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობაზე და სამუშაოების შესრულების ვადებზე. სამუშაოების ჩაბარების ვადების დარღვევა ითვალისწინებს სახელშეკრულებო ღირებულების საჯარიმო შემცირებას ხელშეკრულების საწყისი ღირებულების 0.1%-ით ყოველი გადაგადაცილებული დღისთვის. საჯარიმო თანხის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 100 დღიანი გადაგადაცილებისთვის და შეადგენს 10%. ფილიალი 2020 და 2021 წლებში დაჯარიმდა ოთხივე პროექტზე პროექტის დასრულებაზე ვადის დარღვევისთვის. 2021 წლის ჯარიმა ხელმძღვანელობამ განიხილა, როგორც ბალანსშემდგომი მაკორექტირებელი მოვლენა და დააკორექტირა ხელშეკრულების ღირებულება. სახელშეკრულებო ღირებულების ცვლილების ეფექტი მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში კუმულაციურად, რადგან ხელმძღვანელობამ სახელშეკრულებო ღირებულება და ჯამური ხარჯები გადასინჯა მიმდინარე პერიოდში.

*სახელშეკრულებო ღირებულების საჯარიმო შემცირების შედეგად, ზუგდიდის პროექტზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კუმულაციური ამონაგები აღემატებოდა 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კუმულაციურს ამონაგებს. აქედან გამომდინარე, ზუგდიდის პროექტზე ამონაგების მოცულობა 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის შეადგენს უარყოფითს.

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ამონაგები და თვითღირებულება (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს თვითღირებულებას ყველა პროექტისთვის ჯამურად:

	2020	2019
მარაგების ჩამოწერა	(3,537,925)	(8,811,135)
ქვეკონტრაქტორები	(4,063,509)	(5,629,750)
ხელფასის ხარჯი	(2,470,237)	(5,830,635)
ცვეთის ხარჯი	(466,995)	(588,309)
გარანტიის ხარჯები	(427,777)	(435,195)
სატრანსპორტო ხარჯი	(91,059)	(262,322)
სხვა ხარჯები	(304,413)	(343,838)
სულ	(11,361,915)	(21,901,184)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს თვითღირებულებას პროექტების მიხედვით:

ზუგდიდი	2020	2019
მარაგების ჩამოწერა	(3,003,604)	(5,117,951)
ქვეკონტრაქტორები	(2,721,144)	(2,536,593)
ხელფასის ხარჯი	(1,832,835)	(3,263,658)
ცვეთის ხარჯი	(412,869)	(493,509)
გარანტიის ხარჯები	(339,413)	(354,072)
სატრანსპორტო ხარჯი	(88,194)	(262,322)
სხვა ხარჯები	(113,148)	(215,123)
სულ	(8,511,207)	(12,243,228)

ჯვარი	2020	2019
მარაგების ჩამოწერა	(386,919)	(1,324,614)
ქვეკონტრაქტორები	(77,926)	(1,191,862)
ხელფასის ხარჯი	(465,205)	(601,303)
ცვეთის ხარჯი	(44,150)	(83,047)
გარანტიის ხარჯები	(54,758)	(38,064)
სატრანსპორტო ხარჯი	(2,715)	-
სხვა ხარჯები	(152,311)	(84,952)
სულ	(1,183,984)	(3,323,842)

აბაშა	2020	2019
მარაგების ჩამოწერა	(147,402)	(2,097,558)
ქვეკონტრაქტორები	(700,439)	(263,513)
ხელფასის ხარჯი	(172,197)	(1,965,674)
ცვეთის ხარჯი	(9,976)	(11,753)
გარანტიის ხარჯები	(33,606)	(43,059)
სატრანსპორტო ხარჯი	(150)	-
სხვა ხარჯები	(38,954)	(43,763)
სულ	(1,102,724)	(4,425,320)

ანაკლია	2020	2019
ქვეკონტრაქტორები	(564,000)	(1,637,782)
მარაგების ჩამოწერა	-	(271,012)
სულ	(564,000)	(1,908,794)

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

5. ამონაგები და თვითღირებულება (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებს

	პროექტის დასახელება				სულ
	ზუგდიდი	ჯვარი	აბაშა	ანაკლია	
სავაჭრო მოთხოვნები 31.12.2020	1,935,626	1,555,834	256,645	338,523	4,086,628
სავაჭრო მოთხოვნები 31.12.2019	12,455,091	1,217,443	1,307,525	346,949	15,327,008

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს საკონტრაქტო ვალდებულების მოძრაობას:

	პროექტის დასახელება				სულ
	ზუგდიდი	ჯვარი	აბაშა	ანაკლია	
31.12.2018	6,031,996	2,532,318	2,982,682	-	11,546,996
დამატება საანგარიშგებო პერიოდში	-	1,376,695	340,542	668,659	2,385,896
აღიარებული ამონაგები*	(5,185,848)	(1,043,646)	(1,110,863)	-	(7,340,357)
დაკავშირებული გადასახადი	(188,294)	(193,294)	(171,571)	-	(553,159)
31.12.2019	657,854	2,672,073	2,040,790	668,659	6,039,376
დამატება საანგარიშგებო პერიოდში	-	-	-	-	-
აღიარებული ამონაგები*	(557,503)	(207,690)	(1,729,483)	(566,660)	(3,061,336)
დაკავშირებული გადასახადი	(100,351)	(38,229)	(311,307)	(101,999)	(551,886)
31.12.2020	-	2,426,154	-	-	2,426,154

*აღიარებული ამონაგები წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის შემოსავალს, რომელიც წარმოადგენდა საკონტრაქტო ვალდებულების ბალანსის ნაწილს პერიოდის დასაწყისისთვის.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს გარიგების ფასის აკუმულირებულ ღირებულებებს, რომელიც გადანაწილებულია სახელშეკრულებო ვალდებულებებზე და არ არის შესრულებული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის:

პროექტის დასახელება	2020	2019
ზუგდიდი	4,718,304	7,044,505
ჯვარი	16,529,093	12,811,052
აბაშა	1,353,236	1,102,384
ანაკლია	3,276	1,612,252
სულ	22,603,909	22,570,193

ხელმძღვანელობის შეფასებით ფილიალი დარჩენილ სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს 1 წლის განმავლობაში.

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
ხელფასი	(370,349)	(614,902)
ჯარიმა ბუნებრივი რესურსების მოხმარებისთვის	(167,000)	-
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	(78,606)	(136,282)
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	(35,744)	(31,163)
ბანკის მომსახურება	(30,861)	(40,206)
სხვა ხარჯები	(97,428)	(42,259)
	(779,988)	(864,812)
ფინანსური აქტივების (გაუფასურება)/აღდგენა	112,643	(36,337)
სულ	(667,345)	(901,149)

ას ინშაუტ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

7. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	ავტოტრანსპორტი	კონსტრუქციები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	სულ
31.12.2018	6,804,405	247,729	885,827	352,362	8,290,323
შემოსვლა	58,681	-	58,064	-	116,745
გადაცემა სათაო ოფისზე	(4,173,046)	-	(42,203)	-	(4,215,249)
31.12.2019	2,690,040	247,729	901,688	352,362	4,191,819
შემოსვლა	128,200	-	-	-	128,200
გასვლა	(226,445)	-	-	-	(226,445)
გადაცემა სათაო ოფისზე	(315,206)	-	-	-	(315,206)
31.12.2020	2,276,589	247,729	901,688	352,362	3,778,368
დაგროვილი ცვეთა					
31.12.2018	(1,772,290)	(192,884)	(488,409)	(254,356)	(2,707,939)
ცვეთა	(294,069)	(36,469)	(177,237)	(61,945)	(569,720)
გადაცემა სათაო ოფისზე	1,086,921	-	23,269	-	1,110,190
31.12.2019	(979,438)	(229,353)	(642,377)	(316,301)	(2,167,469)
ცვეთა	(317,438)	(8,365)	(112,256)	(28,936)	(466,995)
გასვლა	100,212	-	-	-	100,212
გადაცემა სათაო ოფისზე	315,206	-	-	-	315,206
31.12.2020	(881,458)	(237,718)	(754,633)	(345,237)	(2,219,046)
საბალანსო ღირებულება					
31.12.2019	1,710,602	18,376	259,311	36,061	2,024,350
31.12.2020	1,395,131	10,011	147,055	7,125	1,559,322

8. მარაგები

	2020	2019
მიღები	1,333,625	1,327,469
სხვა სამშენებლო მარაგები	3,363,490	4,167,436
სულ	4,697,115	5,494,905

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2020	2019
გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნები	4,086,628	13,620,815
მოკლევადიანი სავაჭრო მოთხოვნები	35,227	1,765,300
სულ ფინანსური მოთხოვნები	4,121,855	15,386,115
საექვო ვალების რეზერვი	(41,219)	(153,861)
წმინდა ფინანსური მოთხოვნები	4,080,636	15,232,254
გადახდილი ავანსები	1,229,354	1,633,209
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	146,663
სულ არაფინანსური მოთხოვნები	1,229,354	1,779,872
სულ	5,309,990	17,012,126

ფილიალი იყენებს გამარტივებულ მეთოდს, რათა განსაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში არსებული ფინანსური აქტივები წარმოადგენს ვადადაუმდგარს. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების კოეფიციენტი წარმოადგენს მათი სრული საბალანსო ღირებულების 1%.

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ლარში)

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო ვალეების რეზერვის მოძრაობას:

	2020	2019
1 იანვარი	(153,861)	(117,524)
მიმდინარე პერიოდის გაუფასურების (ხარჯი)/აღდგენა	112,642	(36,337)
31 დეკემბერი	(41,219)	(153,861)

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სავაჭრო მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილის საჯარიმო შემცირებას:

პროექტის დასახელება	მოთხოვნები	საჯარიმო შემცირება	საბალანსო მოთხოვნა
ზუგდიდი	12,689,099	(10,753,473)	1,935,626
ჯვარი	1,826,809	(270,975)	1,555,834
აბაშა	1,679,559	(1,422,914)	256,645
ანაკლია	577,512	(238,989)	338,523
სულ 31.12.2020	16,772,979	(12,686,351)	4,086,628

ფილიალი დაჯარიმდა დამკვეთისგან პროექტის დასრულების ვადების დარღვევისთვის. ხელმძღვანელობამ შეამცირა მოთხოვნის მოცულობა ჯარიმის თანხით, რამდენადაც საჯარიმო შემცირება გამოიქვეითება მოთხოვნების გრძელვადიანი ნაწილისგან. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფილიალს არ ჰქონია საჯარიმო შემცირება კონტრაქტორისგან.

10. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2020	2019
შეზღუდული ფული უცხოურ ვალუტაში	1,043,302	1,956,879
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	-	11,213
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	-	6,267
სულ	1,043,302	1,974,359

*შეზღუდული ფული წარმოადგენს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულების საგარანტიო უზრუნველყოფას.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2020	2019
სავაჭრო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	2,890,019	2,681,200
სავაჭრო ვალდებულებების მოკლევადიანი ნაწილი	1,709,759	2,944,929
გადასახდელი ხელფასები	763,673	440,919
სულ ფინანსური ვალდებულებები	5,363,451	6,067,048
საგადასახადო ვალდებულება	147,903	-
სულ ვალდებულებები	5,511,354	6,067,048

12. სესხები

ცხრილი გვიჩვენებს სესხების მოძრაობას:

	2020	2019
1 იანვარი	619,344	-
სესხების აღება	1,085,370	1,340,393
პროცენტის დარიცხვა	65,245	33,600
პროცენტის გადახდა	(65,190)	(33,600)
ძირის გადახდა	(1,765,601)	(699,769)
სავალუტო კურსის ეფექტი	60,832	(21,280)
31 დეკემბერი	-	619,344

13. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

უმაღლესი ხელმძღვანელობის შრომის ანაზღაურება 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის შეადგენს შესაბამისად 391,000 და 470,000 ლარს.

14. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, ფილიალის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და ფილიალს დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. ფილიალს მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ ფილიალის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის თებერვალში რუსეთის ფედერაციამ დაიწყო საომარი მოქმედებები უკრაინის ტერიტორიაზე, რომელიც ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა. ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის საომარი მგომარეობა არ დასრულებულა. ხელმძღვანელობა ამ ეტაპზე ვერ აფასებს აღნიშნული ომის გავლენას (ან შესაძლო გავლენას) კომპანიის საქმიანობაზე.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

16.1 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

ოპერაციებში ფილიალი ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფილიალის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად ფილიალი იყენებს ქართულ ლარს.

ბ) უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. 2020 და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	დოლარი	ევრო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

16.2 ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფილიალი აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლისა და მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც ფილიალი მოელის ამ საქონლისა და მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. ფილიალი იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- ამონაგების აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

ფილიალი ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

ფილიალი ასრულებს ხელშეკრულების ფარგლებში დაპირებულ მნიშვნელოვან მომსახურებას, რომელიც ეხება მოცემული საქონლის ან მომსახურებების სხვა საქონელსა და მომსახურებასთან ერთად ინტეგრირებას ისეთი საქონლის ან მომსახურების პაკეტში, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ შედეგს ან შედეგებს, რომლის მისაღებადაც გააფორმა ხელშეკრულება მომხმარებელმა.

მომსახურების გაწევის შედეგად ამონაგები აღიარებულია დროთა განმავლობაში მომსახურების გაწევის პერიოდში. ამონაგების აღიარება დროთა განმავლობაში ხორციელდება ფილიალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების პროპორციულად დროთა განმავლობაში. სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებიდან მიღებული ამონაგები აღიარდება გამოყენებული რესურსების მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება ფილიალის მიერ გამოყენებულ რესურსებსა და გაწეულ ძალისხმევას სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად.

გარკვეული გარემოების ცვლილების საფუძველზე შესაძლოა გადაიხედოს, ამონაგების, ხარჯების ან დასრულების პროგრესის შეფასებები. ნებისმიერი შედეგი, ამონაგების და ხარჯების ზრდა ან შემცირება აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში, როდესაც ის გარემოებები, რომელმაც განაპირობა გადასინჯვა, გახდა ხელმძღვანელობისთვის ცნობილი. ამონაგები კორექტირდება კუმულაციურად.

სახელშეკრულებო ღირებულების განსაზღვრა

ფილიალის ძირითადი ამონაგები ფორმირდება ცვალებადღირებულებიანი ხელშეკრულებებით. შესაბამისად, თითოეული ხელშეკრულებიდან ასაღიარებელი ამონაგების მოცულობას განსაზღვრავს მოცემული ცვალებადი ღირებულება. სახელშეკრულებო ღირებულების ცვლილება დამოკიდებულია შესასრულებელი სამუშაოს მოცულობაზე.

კლიენტის გადახდა ეფუძნება შუალედურ მიღება-ჩაბარების აქტებს. შუალედური ინვოისის ღირებულების 10-20 პროცენტი იფარება გადახდილი ავანსიდან, ხოლო 10 პროცენტი წარმოადგენს შეჩერებულ თანხებს, რომელიც გადასახდელია საბოლოო მიღება-ჩაბარებიდან ერთ წელში.

გადახდის პირობები რომელიც ფილიალს ან მომხმარებელს იცავს მეორე მხარის უუნარობისგან, სათანადოდ შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზოგიერთი ან ყველა ვალდებულება, არ წარმოადგენს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს.

თუ მომხმარებელი ანაზღაურებას იხდის, ან ფილიალს უპირობო უფლება გააჩნია ანაზღაურების თანხაზე (ე.ი. წარმოადგენს მოთხოვნას) მანამ, სანამ ფილიალი საქონელს ან მომსახურებას გადასცემს მომხმარებელს, ფილიალმა ხელშეკრულება უნდა წარადგინოს, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულება, როდესაც გადახდა განხორციელდება, ან ანაზღაურების თანხის გადახდის ვადა დადგება (რომელიც უფრო ადრე მოხდება ამ მოვლენებიდან). სახელშეკრულებო ვალდებულება არის ფილიალის ვალდებულება, მომხმარებელს გადასცეს საქონელი ან მომსახურება, რისთვისაც ფილიალმა მომხმარებლისგან მიიღო ანაზღაურება (ან რომლის ანაზღაურების გადახდის ვადა დამდგარია). თუ ფილიალი ვალდებულებას ასრულებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისთვის მანამდე გადაცემით, სანამ მომხმარებელი გადაუხდის ანაზღაურებას, ან სანამ ამ საქონლის ან მომსახურების ანაზღაურების გადახდის ვადა დადგება, ფილიალმა ხელშეკრულება უნდა წარადგინოს, როგორც სახელშეკრულებო აქტივი, მოთხოვნის სახით ასახული თანხების გამოკლებით. მოთხოვნა არის საწარმოს მიერ მოპოვებული უპირობო უფლება ანაზღაურებაზე.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

ფილიალი ახორციელებს წყალმომარაგების სისტემების შეცვლის მომსახურებას დასავლეთ საქართველოში, ოთხ სხვადასხვა ლოკაციაზე, ზუგდიდში, აბაშაში, ანაკლიასა და ჯვარში (შემდგომში პროექტები). თითოეული სამშენებლო ხელშეკრულება წყალმომარაგების სისტემების შეცვლაზე წარმოადგენს ცალკე სახელშეკრულებო ვალდებულებას. შესაბამისად, არ საჭიროებს განსჯას შესასრულებელი ვალდებულებებს შორის ღირებულებების გადანაწილებაზე.

ამონაგების აღიარება

აღიარებული ამონაგები განისაზღვრება იმ პროპორციის შესაბამისად, რა პროპორციის ხარჯებიც გაიწია ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესასრულებლად კონტრაქტის სავარაუდო ჯამურ ხარჯებთან მიმართებით.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაწეული დანახარჯების პროპორცია სწორად ასახავს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების პროგრესს და მოცემული მეთოდის გამოყენებას სამართლიანად მიიჩნევს შესაბამისი საქონლისა და მომსახურების გადაცემის მომენტის განსაზღვრისთვის.

ფილიალმა შესაძლოა ვერ შეძლოს შესასრულებელი ვალდებულების შესრულების შედეგის გონივრული შეფასება, მაგრამ მოელოდეს, რომ აინაზღაურებს ამ შესასრულებელი ვალდებულების შესრულებისთვის გაწეულ დანახარჯებს. ასეთ ვითარებაში, ფილიალი ამონაგებს აღიარებს მხოლოდ გაწეული დანახარჯების ოდენობით მანამ, სანამ არ შეძლებს შესასრულებელი ვალდებულების შესრულების შედეგის გონივრულად შეფასებას.

გამოყენებული გათავისუფლება

ფილიალმა გამოიყენა ქვემოთ მოცემული გათავისუფლება:

- არ განიხილავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, როდესაც აქტივზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის თარიღსა და მიღებული ანაზღაურების თარიღებს შორის სხვაობა არის ერთ წელზე ნაკლები; და
- ხელშეკრულების გაფორმების დამატებითი დანახარჯები ხარჯებში აღიარდება მათი გაწევისას, თუ აქტივის ამორტიზაციის პერიოდის ხანგრძლივობა ერთ წელს არ აღემატება.

16.3 ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

16.4 იჯარა

ფილიალმა გადაწყვიტა მოკლევადიან იჯარასთან და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებაში გამოიყენოს გათავისუფლება. ამ იჯარასთან დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღირიცხება ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით. სხვა სისტემატური საფუძველი იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ ეს საფუძველი უფრო ადეკვატურად ასახავს მოიჯარის მიერ სარგებლის მიღების სტრუქტურას/მოდელებს. ფილიალს არ აქვს გრძელვადიანი იჯარები.

16.5 გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც ფილიალი გამოაცხადებს დივიდენდს. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

16.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომსახურების ვადის განმავლობაში. ფილიალი იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
სატრანსპორტო საშუალებები	5-10
კონსტრუქციები	3-5
მანქანა-დანადგარები	2-5
ოფისის აღჭურვილობა	3

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით.

16.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე, რომელიც შეადგენს 5 წელს. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

16.8 მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფილიალი გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, ფილიალი აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზე, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები, ან ის არამატერიალური აქტივები, რომლებიც გამოყენებისთვის ჯერ არ არის ხელმისაწვდომი, გაუფასურების გამოსავლენად მოწმდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ, და აგრეთვე მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ნიშნები არსებობს.

ანაზღაურებადი ღირებულება არის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დასაბეგრი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს, რომლისთვისაც არ დაკორექტირებულა სამომავლოდ პროგნოზირებული ფულადი ნაკადები.

თუ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასებულია, როგორც მის საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები, მაშინ აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თუ გაუფასურების ზარალი შემდგომში შებრუნდება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება და შეადგენს მისი ანაზღაურებადი ღირებულების გადასინჯულ ოდენობას, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა, წინა წლებში აქტივზე (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულზე) გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. გაუფასურების ზარალის შებრუნების აღიარება ხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

16.9 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება ფიფო მეთოდის გამოყენებით.

16.10 ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ფილიალს წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ ფილიალს მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელი.

16.11 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. ფილიალის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება ფილიალის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დაკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საჭონისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები, საკონტრაქტო აქტივები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე და გრძელვადიანი სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივის გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. ფილიალი საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის

16. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ფილიალი აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკით, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების და საკონტრაქტო აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები და საკონტრაქტო აქტივი აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპონდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად ადმინისტრაციულ და სხვა ხარჯების მუხლში მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ფილიალი სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, საკონტრაქტო აქტივებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს სალაროში არსებულ ფულს, მოთხოვნამდე დეპოზიტებს, სხვა მოკლევადიან მაღალი სიხშირით ინვესტიციებს, რომლის დასრულების ვადაც განისაზღვრება სამი ან ნაკლები თვით.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე ფილიალი მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. ფილიალს ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყის გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

ფილიალი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ურთიერთგადაფარავს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ფილიალი გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

16.12 სათაო ოფისის ნაშთი

სათაო ოფისთან განხორციელებულ ოპერაციებს ფილიალი აღრიცხავს სათაო ოფისის შენატანების ანგარიშზე, რომელიც წარმოადგენს სათაო ოფისის ნაშთის განცალკევებულ რეზერვს. არაფულადი აქტივების მოძრაობა ფილიალსა და სათაო ოფისს შორის აღრიცხება არაფულადი ოპერაციების რეზერვის ანგარიშზე. სხვა ოპერაციების რეზერვზე აღრიცხება ფულის და ფულის ეკვივალენტების მოძრაობა და სათაო ოფისის მიერ ფილიალის სასარგებლოდ მესამე მხარისთვის ანაზღაურება. სხვა ოპერაციების რეზერვის ნაშთზე საკურსო სხვაობის ეფექტის გავლენა აღრიცხება პირდაპირ სათაო ოფისის ნაშთის ანგარიშგებაში გაუნაწილებელი მოგების რეზერვთან კორესპონდენციით.

16.13 დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა. დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება სათაო ოფისის ნაშთი. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება ბალანსის შემდგომ მოვლენებში.

მმართველობის ანგარიშგება

სუბიექტის განვითარების გეგმები

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი (შემდგომში ფილიალი) დაარსდა 2015 წლის 10 აგვისტოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ფილიალის იურიდიული მისამართია ზემო ვეძისი #2/3, ვაკე-საბურთალოს რაიონი, თბილისი, საქართველო. ფილიალი წარმოადგენს აზერბაიჯანში რეგისტრირებული ფილიალის ას ინშაათ-ნ-ის ფილიალს. ფილიალის ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო სერვისის გაწევა. ფილიალი ახორციელებს წყალმომარაგების სისტემების შეცვლას დასავლეთ საქართველოს რეგიონებში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სათაო ოფისის მფლობელები არიან ნუშრევან ჯალილოვი (წილის 50%) და „PAY ჯგუფი“ (წილის 50%).

ფილიალი 2020 წლის განმავლობაში ახორციელებდა წყალმომარაგების სისტემების შეცვლის მომსახურებას საქართველოში, სხვადასხვა ლოკაციაზე, ზუგდიდში, აბაშაში, ანაკლიასა და ჯვარში. ფილიალის ძირითადი დამკვეთი არის სახელმწიფოს მფლობელობაში მყოფი ფილიალი (შპს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია). ანაკლიის პროექტი 2020 წელს არსებითად დასრულდა. ფილიალი მომავალში გეგმავს ტენდერებში მონაწილეობის მიღებას და სამშენებლო მიმართულებით აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო და არასახელმწიფო პროექტებში.

ფილიალი დაკომპლექტებულია მაღალი კვალიფიკაციის პროფესიონალებით რომელთაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ სამშენებლო მიმართულებით. 2020 წელს თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 195 დასაქმებულს, 2019 (222). ვინაიდან ფილიალი ოპერირებს შრომის უსაფრთხოების მაღალი რისკის სექტორში, ფილიალის პრიორიტეტი ხდება თანამშრომელთა უსაფრთხოების დაცვა. ამისათვის მუდმივად ხორციელდება თანამშრომელთა გაცნობა უსაფრთხოების წესებთან და ამ მოთხოვნების დაცვის კონტროლი.

ორგანიზაციული სტრუქტურა

ფილიალს გააჩნია მკაცრი ჰორიზონტალური მმართველობის სტრუქტურა, რომელიც სრულად ექვემდებარება გენერალურ დირექტორს. ხოლო, ყველა განყოფილებას ჰყავს უშუალო განყოფილების ხელმძღვანელი.

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალს ფილიალები არ გააჩნია თუმცა სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე რამოდენიმე ობიექტზე ხდება სამუშაოების წარმოება.

კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ფილიალს საანგარიშო პერიოდში კვლევა-ძიების სფეროში სამუშაოები არ უწარმოებია.

აუცილებელი ძირითადი ხარისხობრივი და არაფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის განმავლობაში ფილიალი მუშაობდა 4 პროექტზე, განახორციელა წყალმომარაგების სისტემების შეცვლის მომსახურება, ამ პროექტების დამკვეთი არის სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ფილიალი.

ფილიალი ზრუნავს ნარჩენების რაოდენობის შემცირებაზე, იცავს და ემორჩილება ყველა ადგილობრივ კანონს და ნორმატიულ აქტს ნარჩენების შეგროვების, შენახვის, გადამუშავების და გატანის შესახებ და შესაბამისობაშია გარემოს დაცვის მოთხოვნებთან.

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

ფილიალი 2020 და 2021 წლებში დაჯარიმდა ოთხივე პროექტზე პროექტის დასრულებაზე ვადის დარღვევისთვის. 2021 წლის ჯარიმა ხელმძღვანელობამ განიხილა, როგორც ბალანსშემდგომი მაკორექტირებელი მოვლენა და დააკორექტირა კონტრაქტის ფასები. კონტრაქტის ფასის ცვლილების ეფექტი მოგება ან ზარალი და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულია პერსპექტიულად და მიმდინარე პერიოდში დაკორექტირებულია ამონაგები საკონტრაქტო ფასის ცვლილების შესაბამისად. აღნიშნულის გამო ფილიალს 2020 წელს ჰქონდა უარყოფითი ამონაგები, რამაც გამოიწვია ფინანსური კოეფიციენტების გაუარესება წინა პერიოდთან შედარებით. ფილიალს წმინდა მოგების მარჟა, EBITDA, ROA და ROE 2020 წელს აქვს უარყოფითი. ასევე 2020 წელს მოხდა მოკლევადიანი საბანკო სესხის დაფარვა. 2020 და 2019 წლებში ფილიალის ფინანსური მაჩვენებლები წარმოდგენილია ქვემოთ:

	2020	2019
ფინანსური ვალდებულებების ფარდობა სათაო ოფისის ნაშთთან	0%	4%
მიმდინარე აქტივების ფარდობა, ფილიალის მიმდინარე ვალდებულებებთან	138%	108%
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	45%	53%

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

- წმინდა მოგების მარჟა = მთლიანი მოგება / ამონაგები;
- EBITDA = (წმინდა მოგებას + საპროცენტო ხარჯები + გადასახადები + ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები) / საოპერაციო შემოსავალი;
- უკუგება სათაო ოფისის ნაშთან = წმინდა მოგება / სათაო ოფისის ნაშთი
- უკუგება მთლიან აქტივებზე(ROA) = წმინდა მოგება / სულ აქტივები;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები;
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი = (მიმდინარე აქტივები - მარაგები)/მიმდინარე ვალდებულებები;

ინფორმაცია აქციათა ფლობის შესახებ

ფილიალი არ არის უფლებამოსილი გამოუშვას წილობრივი ინსტრუმენტები. ფილიალი არ ფლობს სხვა სუბიექტების წილობრივ ინსტრუმენტებს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფილიალი საქმიანობს საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში. ფილიალის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა

ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა უმნიშვნელოვანესია სამშენებლო სექტორში. ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალისთვის ეს ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილიალის პროექტების დამკვეთს წარმოადგენს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ფილიალი.

- ფილიალის თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოება

ვინაიდან სამშენებლო საქმიანობა მიეკუთვნება მაღალი რისკის შემცველ სამუშაოს, არის იმის საშიშროება რომ მოხდეს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზიანება და გარდაცვალება კი. გარდა კვალიფიციური კადრის დაკარგვისა, ეს გამოიწვევს ფილიალის იმიჯის დაცემას და არაპირდაპირ შესაძლებელია აისახოს შემოსავლებზეც. ამისათვის ფილიალის ხელმძღვანელობის მიერ მუდმივად ხდება რისკის შეფასება რაც მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას;

ყველა სამშენებლო ობიექტზე დანიშნულია შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია როგორც სამშენებლო ობიექტის შესაბამისი უსაფრთხოების საშუალებებით აღჭურვაზე ასევე თანამშრომელთა მიერ მათ გამოყენებაზე. ყოველ სამუშაო პროცესზე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიერ დგება სამუშაოთა წარმოების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც უსაფრთხოების ინჟინერი ამზადებს რისკების შეფასების დოკუმენტს და სახავს ღონისძიებებს რისკების პრევენციისთვის.

- თაღლითობა და ქურდობა

სამშენებლო ბიზნესში არის საშიშროება სხვადასხვა სამშენებლო მარაგების დატაცების. აღნიშნული რისკის პრევენციისთვის სამშენებლო ობიექტებზე ყველგან არის დაცვის სამსახურის წარმომადგენელი, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის სამშენებლო მოედანზე უცხო პირების მოხვედრას. ამას გარდა დაგეგმილია სააღრიცხვო სისტემის იმგვარად მოწყობა, რომ ჩაირთოს დამატებითი შიდა კონტროლის სისტემები, რაც ოპერატიულად გამოავლენს თაღლითობისა და ქურდობის ფაქტებს.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებით ინფორმაცია იხილეთ ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 4 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

ფინანსური დირექტორი

შახლა ახმადოვა

მთავარი ბუღალტერი

კობა ფარცვანია

ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალი

მმართველობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

- წმინდა მოგების მარჟა = მთლიანი მოგება / ამონაგები;
- EBITDA = (წმინდა მოგებას + საპროცენტო ხარჯები + გადასახადები + ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯები) / საოპერაციო შემოსავალი;
- უკუგება სათაო ოფისის ნაშთან = წმინდა მოგება / სათაო ოფისის ნაშთი
- უკუგება მთლიან აქტივებზე(ROA) = წმინდა მოგება / სულ აქტივები;
- ლიკვიდურობის კოეფიციენტი = მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები;
- სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი = (მიმდინარე აქტივები - მარაგები)/მიმდინარე ვალდებულებები;

ინფორმაცია აქციათა ფლობის შესახებ

ფილიალი არ არის უფლებამოსილი გამოუშვას წილობრივი ინსტრუმენტები. ფილიალი არ ფლობს სხვა სუბიექტების წილობრივ ინსტრუმენტებს.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ფილიალი საქმიანობს საქართველოში და მისი აქტივები მდებარეობს საქართველოში. ფილიალის საქმიანობის მომგებიანობასა და მის ფინანსურ მდგომარეობაზე გავლენას ახდენს შემდეგი რისკ ფაქტორები:

- ქვეყნის შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა

ქვეყნის შიდა პოლიტიკური სტაბილურობა უმნიშვნელოვანესია სამშენებლო სექტორში. ას ინშაათ-ნ-ის საქართველოს რესპუბლიკის ფილიალისთვის ეს ასევე ძალიან მნიშვნელოვანია თუ გავითვალისწინებთ, რომ ფილიალის პროექტების დამკვეთს წარმოადგენს სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული ფილიალი.

- ფილიალის თანამშრომელთა შრომის უსაფრთხოება

ვინაიდან სამშენებლო საქმიანობა მიეკუთვნება მაღალი რისკის შემცველ სამუშაოს, არის იმის საშიშროება რომ მოხდეს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზიანება და გარდაცვალება კი. გარდა კვალიფიციური კადრის დაკარგვისა, ეს გამოიწვევს ფილიალის იმიჯის დაცემას და არაპირდაპირ შესაძლებელია აისახოს შემოსავლებზეც. ამისათვის ფილიალის ხელმძღვანელობის მიერ მუდმივად ხდება რისკის შეფასება რაც მოიცავს ღონისძიებათა კომპლექსს, რომელიც ეფუძნება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აღიარებულ მეთოდოლოგიას და მოიცავს სამუშაო სივრცეში სამუშაო პროცესთან დაკავშირებული საფრთხეების იდენტიფიცირებას, ანალიზს, შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების განსაზღვრას;

ყველა სამშენებლო ობიექტზე დანიშნულია შრომის უსაფრთხოების თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელია როგორც სამშენებლო ობიექტის შესაბამისი უსაფრთხოების საშუალებებით აღჭურვაზე ასევე თანამშრომელთა მიერ მათ გამოყენებაზე. ყოველ სამუშაო პროცესზე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიერ დგება სამუშაოთა წარმოების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც უსაფრთხოების ინჟინერი ამზადებს რისკების შეფასების დოკუმენტს და სახავს ღონისძიებებს რისკების პრევენციისთვის.

- თაღლითობა და ქურდობა

სამშენებლო ბიზნესში არის საშიშროება სხვადასხვა სამშენებლო მარაგების დატაცების. აღნიშნული რისკის პრევენციისთვის სამშენებლო ობიექტებზე ყველგან არის დაცვის სამსახურის წარმომადგენელი, დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, რაც ფაქტიურად შეუძლებელს ხდის სამშენებლო მოედანზე უცხო პირების მოხვედრას. ამას გარდა დაგეგმილია სააღრიცხვო სისტემის იმგვარად მოწყობა, რომ ჩაირთოს დამატებითი შიდა კონტროლის სისტემები, რაც ოპერატიულად გამოავლენს თაღლითობისა და ქურდობის ფაქტებს.

სხვა ფინანსური რისკების შესახებ დამატებით ინფორმაცია იხილეთ ფილიალის ფინანსურ ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს.

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2022 წლის 4 აპრილს შემდეგი პირის მიერ:

ფინანსური დირექტორი

_____  _____

შახლა ახმადოვა

მთავარი ბუღალტერი

_____  _____

კობა ფარცვანია